სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	საჩხერეს „ჯრუჭი“ - ლანჩხუთის „ლანჩხუთი“		
გუნდი	ლანჩხუთის „ლანჩხუთი“	შეჯიბრი	ჭაბუკთა „ბ“ ლიგა
მატჩის თარიღი	26.05.2024	მატჩის ადგილი	საჩხერე
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი	მწვრთნელი	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	ალეკო წილოსანი		
☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	მატჩის მსაჯი, დავით ბალუაშვილი	დარღვევა	☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - 8.13 არ მიაყენოს შეურაცხყოფა და/ან დაემუქროს მატჩის ოფიციალურ პირებს ...		☒ წითელი ბარათი ☐ საითინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	05/06/2024	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ლევან ჩიკვაიძე, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე		
დამრღვევის დასწრება	☒ კი დისტანციური ☐ არა	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯის, დავით ბალუაშვილის საითინგი;		

ფაქტობრივი მოცემულობები, დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯის, დავით ბალუაშვილის საითინგი;
2. მატჩის მეთვალყურის, ტრიფონ ყეინაშვილის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
3. მატჩის მსაჯის, დავით ბალუაშვილის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
4. მატჩის კიდის მსაჯის, იონა ქართველიშვილის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

ლანჩხუთის „ლანჩხუთი“-ს მწვრთნელმა, ალეკო წილოსანმა აღიარა მსაჯის გადაწვეტილებების საჯაროდ გაპროტესტების ფაქტები მისი მხირიდან, მოიბოდიშა არამართებული ქცევის გამო და მიზეზად მსაჯის, მისი აზრით არასწორი გადაწყვეტილებები დაასახელა. ალეკო წილოსანის განცხადებით, მოედანზე წარმოქმნილი კონფლიქტის გამო მოთამაშეების გაშველების მიზნით შევიდა და მას შემდეგ რაც მსაჯმა მოთხოვა მოედნიდან გასვლა, მან ხმამაღლა, შესაძლოა აგრესიული ტონით გააპროტესტა მსაჯის გადაწყვეტილებები თუმცა სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებია მისთვის და კიდევ ერთხელ მოიბოდიშა არამართებული ქცევის გამო.

ფაქტობრივი მოცემულობებზე მსჯელობა და დარღვევის დადგენა

1. მატჩის მსაჯის, დავით ბალუაშვილის საითინგი (ციტირება) - მატჩის მეორე ტაიმის მე-20’ წუთზე, მოედანზე დაიწყო ხელჩართული ჩხუბი, მოთამაშეებს შორის, რომელიც მალევე დასრულდა, თუმცა ჩხუბის მიმდინარეობისას მოედანზე შემოვიდა, ლანჩხუთის მთავარი მწვრთნელი ალეკო წილოსანი, რომელსაც მოვუწოდე დაეტოვებინა მოედანი, რადგან ის არ უნდა ყოფილიყო მინდორზე, იგი გამოირჩეოდა აგრესიით ჩემს მიმართ, შლიდა ხელებს, აპელირებდა ჩემ მსაჯობაზე და ასევე ბრალს მდებდა მიკერძოებაში, რის გამოც მას ვუჩვენე წითელი ბარათი, ეპიზოდი ამით ამოიწურა, თუმცა თამაშის დასრულების შემდეგ კვლავ ,ალეკო წილოსანმა , სცადა მოსულიყო ჩემთან და ესაუბრა, რაზეც მე მას უარი განვუცხადე და ვუთხარი თუ რამე სურდა შეეძლო ყველაფერი ოფიციალურად აღეწერა, ამაზე კი პასუხად მივიღე კვლავ შეურაცხყოფა ჩემი პროფესიული საქმიანობისადმი, რომელიც გამოიხატებოდა შემდეგში „შენ ხარ სირცხვილი, მიკერძოებული, ეს არ არის მსაჯობა და ა.შ“.
2. მატჩის მეთვალყურე, ტრიფონ ყეინაშვილი - თამაშის მეორე ნახევარში მოწინააღმდეგე გუნდების მოთამაშეებს შორის წარმოქმნილი ჩხუბის დროს, „ლანჩხუთი“-ს მწვრთნელი, ალეკო წილოსანი მოედანზე შევიდა და უკმაყოფილება გამოთქვა მსაჯობის გამო. მსაჯმა წითელი ბარათი უჩვენა ალეკო წილოსანს და დაატოვებინა მოედანი. წითელი ბარათის ჩვენების მიზეზი მან მსაჯისგან შეიტყო მოგვიანებით. ალეკო წილოსანის მხრიდან მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტი მას პირადად არ გაუგია.
3. მატჩის კიდის მსაჯის, იონა ქართველიშვილის განცხადებით, თამაშის დასრულების შემდეგ, როდესაც იგ მსაჯთან ერთად გასახადელისკენ მიემართებოდა, „ლანჩხუთი“-ს მწვრთელი ალეკო წილოსანი მივიდა მათთან და აგრესიული ტონით, ხმამაღლა

მიმართავდა მატჩის მსაჯს დავით ბალუაშვილს რეპლიკებით - „სირცხვილია ასე მსაჯობა“ და აგრესიულად გამოხატავდა უკმაყოფილებას.

მსჯელობა

სადისციპლინო კომისამ, სხომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობების განხილვის და მსჯელობის შემდეგ, დადგენილად ცნო ლაჩხუთის „ლანჩხუთი“-ს მწვრთნელის, ალეკო წილოსანის მხრიდან არამართებული ქცევის ფაქტი, კერძოდ- სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 8.13 პუნქტის **(არ მიაყენოს შეურაცხყოფა და/ან დაემუქროს მატჩის ოფიციალურ პირებს და/ან სადისციპლინო და სააპელაციო კომისიის წევრებს, იქნება ეს სათამაშო სივრცეში თუ მის მიღმა;)** დარღვევა. სადისციპლინო კომისიამ, ალეკო წილოსანის მიერ მსაჯის მიმართ გამოყენებული რეპლიკები „სამარცხვინო მსაჯობა“ და „მიკერძოებული ხარ“ მიიჩნია მატჩის ოფიციალური პირის სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებად და სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 9.4 პუნქტის (ზ) ქვეპუნქტის **(სრკ-ს მიერ ორგანიზებული თამაშების დროს სათამაშო სივრცეში ან სათამაშო პერიმეტრში დაშვების აკრძალვა;)** მიხედვით მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ლანჩხუთის „ლანჩხუთი“-ს მწვრთნელს, ალეკო წილოსანს სრკ-ს მიერ ორგანიზებული ჭაბუკთა „ბ“ ლიგის თამაშებზე აეკრძალოს სათამაშო სივრცეში* დაშვება, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის 2023-2024 წლის სათამაშო სეზონის დასრულებამდე.

* სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია: ტერმინთა განმარტება - 2.12. **სათამაშო სივრცე** - არენა/სტადიონი, მის ტერიტორიაზე არსებული შენობა ნაგებობები და სათამაშო მოედნები, სადაც იმართება სრკ-ს მიერ ორგანიზებული ნებისმიერი დონის შეჯიბრება.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	06/06/2024

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება** [საპელაციო-კომისიის-დებულება.pdf (rugby.ge)]